ოქმი:**ო37. 3723291001**
თარიღი:**18/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბესიკ მელუას

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 16 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
11.00-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა:ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, საკრებულოს წევრები,კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ ბესიკ მელუა არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი,იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა,ბესიკ მელუამ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის მყისიერ და ეფექტურ დახმარებაზე რომელიც ბესიკ მელუამ გაუწია დაზარალებულ ოჯახებს.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვავა . აღნიშნა რომ ბესიკ მელუა არის კარგი, დახვეწილი,რაფინირებული,კეთილსინდისიერი და აქტიური წევრი საკრებულოს

.ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის შეფასებით, საკრებულოს წევრის ანგარიში დამაკმაყოფილებელია და უსურვეს წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი